A13068730

კოდი:62453068114741

**A13068730-005/001**
12.11.2013

მოვალეს: თენგიზ კვაშილავას

მის: სენაკი, სანქტ-პეტერბურგის ქუჩა **#21**

ალტ. მის: თბილისი, შარტავას **35/37**, ბინა **197** "ბ"

წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესა

კერძო აღმასრულებლის, დავით ელისაბედაშვილის წარმოებაში **#A13068730** სააღსრულებო საქმე. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ **2013** წლის **08** აგვისტოს გაცემული და კრედიტორის სს "ბაზისბანკის" მიერ წარმოდგენილი **№2/13115-12 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად: თქვენ, მოვალეს, თენგიზ კვაშილავას (პ/ნ 39001006364)** დაგეკისრათ თანხის გადახ  კრედიტორის სს „ბაზისბანკის" სასარგებლოდ, კრ  ი: მოპასუხე თენგიზ კვაშილავას მოსარჩელე სს „ბაზისბანკი  სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს - **2414.71** (ორი ათას ოთხას თოთხმეტი ლარი და სამოცდათერთმეტი თეთრი) ლარი, საიდანაც ძირითადი თანხაა - **1723.19** (ერთი ათას შვიდას ოცდასამი ლარი და ცხრამეტი თეთრი) ლარი, პროცენტი - **137.18** (ას ოცდაჩვიდმეტი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი, პირგასამტეხლო - **554.34** (ხუთას ორმოცდათოთხმეტი ლარი და ოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი. მოპასუხე თენგიზ კვაშილავას მოსარჩელე სს „ბაზისბანკის" სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს - **50** (ორმოცდაათი) ლარი, მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაცვლად.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, გეძლევათ წინადადება ნებაყოფლობით 7 დღის ვადაში შეასრულოთ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა და შესრულების დადასტურება წარმოადგინოთ საქმის მწარმოებელ კერძო აღმასრულებელთან, თანხის ჩარიცხვა განახორციელოთ შემდეგ ანგარიშზე: **სს "ბაზისბანკი", მიმღები: კერძო აღმასრულებელი** დავით ელისაბედაშვილი, ბანკის კოდი: **#220101956, Swift: CBASGE22;** ანგ. **# GE32 BS00 0000 0031 5366 15.**

ამასთან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის **38**-ე მუხლის მე-**6** და მე-**7** პუნქტის თანახმად, ნებაყოფლობით შესრულებისთვის დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების შესრულების შემთხვევაში, გეკისრებათ მხოლოდ საზღაურის კრედიტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადასახდელი ნაწილი – **50** ლარი (აღნიშნულ შემთხვევაში გადასახდელი თანხა ჯამში შეადგენს: **2514.71** (ორი ათას ხუთას თოთხმეტი ლარი და **71** თეთრი) ლარს), ხოლო ნებაყოფლობით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, `სააღსრულებო წარმოებათა შესახებ~ საქართველოს კანონის **38**-ე მუხლის, მე-**14**$^{17}$ მუხლისა და სააღსრულებო მომსახურების შესახებ კრედიტორთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, თქვენ დაგეკისრებათ კერძო აღმასრულებლის საზღაური, სრული ოდენობა - აღსასრულებელი მოთხოვნის **7%** (აღნიშნულ შემთხვევაში გადასახდელი თანხა ჯამში შეადგენს: **2637.24** (ორი ათას ექვსას ოცდაჩვიდმეტი ლარი და **24** თეთრი) ლარს).

წინააღმდეგ შემთხვევაში, გაფრთხილებთ, რომ მითითებულ ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობას მოჰყვება იძულებითი აღსრულება და თქვენს (თქვენი ქონების) მიმართ განხორციელდება `სააღსრულებო წარმოებათა შესახებ~ საქართველოს კანონით (შემდგომში კანონი) გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებები: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-19$^{1}$ მუხლის შესაბამისად, თქვენ დარეგისტრირებული ხართ მოვალეთა რეესტრში, რის შედეგადაც შეგეზღუდათ შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის (უფლებრივად დატვირთვის) უფლება.

თქვენზე დაკისრებული ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში ამოირიცხებით მოვალეთა რეესტრიდან და მოიხსნება თქვენს მიმართ დაწესებული შეზღუდვები.

ამასთან, გაფრთხილებთ, რომ თქვენს (თქვენი ქონების) მიმართ განხორციელდება "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები - აღიწერება, დაყადაღდება და შეფასდება აღსრულების საგანი; ქონებაზე ყადაღის დადების შემდგომ მოხდება ქონების შეფასება და ჩატარდება პირველი იძულებითი აუქციონი; იმ შემთხვევაში თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია, პირველი აუქციონის დასრულებისთანავე ცხადდება განმეორებითი აუქციონი. პირველ აუქციონზე ნივთის საწყისი ფასი შეადგენს აღსრულების პროცესში დადგენილი საბაზრო ფასის 50%; განმეორებით აუქციონზე ნივთის საწყისი ფასი ნულ ლარს.

თუ ქონების საბაზრო ღირებულება 5000 ლარზე ნაკლებია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ტარდება მხოლოდ ერთი აუქციონი, რომელზეც ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს.

ასევე, გაცნობებთ, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის **70**-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, ამ კანონის **35**-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/ აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე;

აუქციონის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ **www.eauction.ge** ვებ გვერდიდან.

უძრავ ქონებაზე კრედიტორის არჩევანის მიხედვით შესაძლოა ასევე გამოყენებული იქნას სეკვესტრი ან იძულებითი იპოთეკის რეგისტრაცია.

ამ წინადადების მიღებისთანავე, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ გვაცნობეთ თქვენი პოზიციის შესახებ. **იძულებითი აღსრულების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ წინასწარ, პერსონალურად, დამატებით არ გეცნობებათ.** მათი მიმდინარეობის დროის, ადგილისა და მდგომარეობის შესახებ თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ დეტალური ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებ გვერდიდან: www.nbe.gov.ge (ვებ-გვერდზე განთავსებულია სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული რეესტრი. რეესტრში შესვლის შემდეგ, სააღსრულებო წარმოების სანახავად უნდა შეიყვანოთ საქმის რეგისტრაციის 8 ციფრიანი ნომერი და ინდივიდუალური 14 ნიშნა კოდი), ამავე ვებ გვერდიდან შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია გამოცხადებული აუქციონების შესახებ. ამასთან, აღსრულებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხზე სრული და ამომწურავი ინფორმაცია ასევე შეგიძლიათ მოითხოვოთ საქმის მწარმოებელი აღმასრულებლისგან.

აქვე გაეცანით "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მხარეებისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

„კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს, მიიღონ აუცილებელი ცნობები გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციისა, რომლებიც შეეხება აღსრულებას, მორიგდნენ, იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე, აღმასრულებელს წარუდგინონ რეალიზაციას დაქვემდებარებული ქონების შეძენით დაინტერესებული პირები, გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედება სასამართლოში ასეთი მოქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგების შემთხვევაში აღმასრულებელს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი 3 დღის ვადაში სააღსრულებო წარმოების მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად უგზავნის სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობს აღსრულება, ხოლო თუ აღსრულება ერთდროულად მიმდინარეობს ერთზე მეტი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიებზე – ერთ-ერთ სასამართლოს."; კრედიტორს და მოვალეს უფლება აქვთ აღსრულების გადადების, განწილვადების შესახებ ან აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების თაობაზე მიმართონ სასამართლოს".

თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე აღმასრულებელი უფლებამოსილია 12 თვემდე ვადით მოახდინოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადება – კრედიტორის თანხმობით.

გაფრთხილებთ, რომ თქვენი მხრიდან აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა, თავის არიდება ან აღსრულების პროცესისთვის რაიმე სახის ხელშეშლის მცდელობა ვერ შეაფერხებს იძულებით აღსრულებას და შესაძლებელია მსგავსი ქმედებისათვის დაგეკისროთ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად, საქმის მწარმოებელ აღმასრულებელს დამიკავშირდით: **მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #58; მობ: 577 111 021; ტელ: 790 100-848** ან/და დაუკავშირდით აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო ცენტრს **(+995 32) 2 749 649**

კერძო აღმასრულებელი

დავით ელისაბედაშვილი

დავითი ელისაბედაშვილი